ევროკავშირი საქართველოსთვის

NETHERLANDS HELSINKI COMMITTEE

HUMAN RIGHTS CENTER (HRC)

Hertie School
Executive Education

GEORGIAN DEMOCRACY INITIATIVE

2024

აქციების მონიტორინგის შუალედური ანგარიში

აქციების მონიტორინგის შუალედური ანგარიში

2024

ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ

არასამთავრობო ორგანიზაცია ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRC) დაარსდა 1996 წლის 10 დეკემბერს თბილისში. მისი მიზანია, გაიზარდოს ადამიანის უფლებების, ძირითადი თავისუფლებების პატივისცემა და სამშვიდობო პროცესების ხელშეწყობა საქართველოში.

ადამიანის უფლებათა ცენტრი არის შემდეგი საერთაშორისო ქსელების წევრი:

- ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH): www.fidh.org
- წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT ქსელი - SOS-წამება): www.omct.org
- ადამიანის უფლებათა სახლის ქსელი: www.humanrighshouse.org
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობოთა კოალიცია (CICC): www.coalitionfortheicc.org

მისამართი:
0160 თბილისი, ა. გახოკიძის ქ. 11ა, III სართული
ტელ.: (+995 32) 237 69 50, (+995 32) 238 46 48
ელ-ფოსტა: hrc@hrc.ge
ონლაინ გამოცემა ადამიანის უფლებების: www.humanrights.ge
ვებ-საიტი: www.hrc.ge

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ადამიანის უფლებათა ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

სარჩევი

შესავალი **4**

მეთოდოლოგია **5**

შეკრების თავისუფლების ფარგლები და მისი შეზღუდვის საფუძვლები **6**

ხელისუფლების ორგანოთა ვალდებულებები შეკრების ფასილიტაციისას **8**

სამართალდამცავი ორგანოების მიერ შეკრების დაშლა **12**

გაფრთხილება სპეციალური საშუალებების გამოყენებამდე *14*

შეკრების დაშლის დროს სპეციალური საშუალებების გამოყენება *15*

ძალის გამოყენება აქციის მონაწილეთა დაკავების მომენტში და შემდეგ *17*

„რუსული კანონის“ საწინააღმდეგო აქციების შემდგომ განვითარებული მოვლენები **18**

აპრილი-მაისის საპროტესტო აქციებთან დაკავშირებული სხვა ტენდენციები და დარღვევები **19**

დასკვნა **21**

რეკომენდაციები **22**

შესავალი

წინამდებარე ანგარიშში ასახულია თბილისში 2024 წლის იანვრიდან ამავე წლის 30 ივნისის ჩათვლით გამართული შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგის ძირითადი მიგნებები. ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ მოპოვებული ინფორმაციისა და მასალის დიდი მოცულობიდან გამომდინარე, საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას გამოვლენილი სხვა ტენდენციები და უფლებადარღვევები თავმოყრილი იქნება მონიტორინგის შემაჯამებელ ანგარიშში, რომელსაც ცენტრი გამოაქვეყნებს 2024 წლის დეკემბერში.

პროექტით - ***„ადამიანის უფლებებზე მონიტორინგისა და ადვოკატირების შესაძლებლობის გაძლიერება საქართველოში“***, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის გუნდი საანგარიშო პერიოდში დააკვირდა 12 აქციას,[1] რომელთაგანაც 8 უკავშირდებოდა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ (შემდგომში, „რუსული კანონი“) მიმართ საზოგადოების პროტესტს. სწორედ ამ კანონის ხელახალი ინიცირების შესახებ „ქართული ოცნების“ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას[2] მოჰყვა ფართომასშტაბიანი და უწყვეტი საპროტესტო აქციები, პარლამენტის ბიუროს სხდომაზე მისი რეგისტრაციის დღიდან.[3]

უწყვეტი საპროტესტო აქციების[4] დროს იდენტიფიცირებული უფლებადარღვევების პარალელურად, სისტემური პრობლემების სახით, გამოიკვეთა: ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებით, საპროტესტო აქციების მონაწილეთა და უფლებადამცველთა მიმართ ხელისუფლების მიერ აგორებული „შიდა მტრის“ ნარატივი,[5] დეზინფორმაციის ბინძური კამპანია, აქციის მონაწილეთა და უფლებადამცველთა წინააღმდეგ გამოყენებული არაპროპორციული საპოლიციო ძალა, მათი დაუსაბუთებელი დაკავება, ხოლო შემდგომ პერიოდში - დაშინების, მუქარისა და ფიზიკური ძალადობის შემთხვევები.

---

[1] 1) ირმა ინაშვილის აქცია რუსთაველის ძეგლთან (2024 წლის 11 იანვარი); 2) მარში გამოსახლების წინააღმდეგ (2024 წლის 4 თებერვალი); 3) „შენ ეს შეძელი“ (2024 წლის 8 მარტი); 4) მარში სტუდენტური საცხოვრებლისთვის (2024 წლის 7 აპრილი); 5) „არა რუსულ კანონს“ და „თავისუფლება ლაზარეს“ (2024 წლის 8 აპრილი); 6) მარში - „კი ევროპას, არა რუსულ კანონს!“ (2024 წლის 9 აპრილი); 7) „არა რუსულ კანონს“ (2024 წლის 15 აპრილი; 8) „არა რუსულ კანონს“ (2024 წლის 16-17 აპრილი); 9) „ქართული ოცნების სახალხო ყრილობა“ (2024 წლის 29 აპრილი); 10) „არა რუსულ კანონს“ (30 აპრილი - 1 მაისი); 11) „არა რუსულ კანონს“ (2024 წლის 1-2 მაისი); 12) „გაათენე საქართველოსთვის“ (2024 წლის 12-13 მაისი).

[2] ტელეკომპანის „მთავარი არხი“, "ოცნება" პარლამენტში "რუსულ კანონს" ხელახლა აინიცირებს, 2024 წლის 03 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XGSwXf [26.06.2024].

[3] ინტერნეტგამოცემა „on.ge“, პარლამენტში რუსული კანონი დარეგისტრირდა, 2024 წლის 08 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/45MdyWu [26.06.2024].

[4] ინტერნეტგამოცემა “civil.ge“, სიახლეების ბლოგი: „კი ევროპას, არა რუსულ კანონს“ – აქციები „უცხოელი აგენტების“ შესახებ კანონპროექტის წინააღმდეგ, 2024 წლის 05 ივნისი. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/601241 [26.06.2024].

[5] ხელმისაწვდომია: https://www.hrc.ge/666/geo/ [17.07.2024].

წინამდებარე ანგარიში დიდწილად ეხება სწორედ ამ პროცესების დროს იდენტიფიცირებულ დარღვევებს. მასში მიმოხილულია „რუსული კანონის“ საწინააღმდეგოდ გამართული შეკრებების პერიოდში გამოკვეთილი ტენდენციები, აქციების მართვა-ფასილიტაციისას გამოვლენილი უხეში უფლებადარღვევები და ფართომასშტაბიანი, მშვიდობიანი შეკრებების სპეციალური საშუალებებით დაშლის კანონიერებასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, ანგარიშში შეფასებულია საპროტესტო აქციების დროს სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული ქმედებების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან და წარმოდგენილია რეკომენდაციები შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისადმი.

მეთოდოლოგია

შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგში მონაწილეობდა ადამიანის უფლებათა ცენტრის 2 მონიტორი, რომლებიც ახდენდნენ აქციების დროს გამოვლენილი უფლებადარღვევების იდენტიფიცირებას და, დაკვირვების შედეგების საფუძველზე, ამზადებდნენ მონიტორების ანგარიშებს. განვითარებული მოვლენების დოკუმენტირებისთვის თითოეული აქციის მონიტორინგის ანგარიშს თან ერთვის ფაქტების ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორები აქციებს აკვირდებოდნენ ქალაქ თბილისში, უშუალოდ მათი მსვლელობის ადგილებზე, რამდენიმე ლოკაციიდან. როგორც წინასწარ დაანონსებული, ისე სპონტანური აქციების დროისა და ადგილის შესახებ, მონიტორები ინფორმაციას იღებდნენ სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის - სოციალური ქსელის, Facebook-ის მეშვეობით, სადაც აქციის ორგანიზატორები წინასწარ აქვეყნებდნენ ინფორმაციას.

აქციებზე დაკვირვების გარდა, ანგარიშში გამოყენებულია ღია წყაროებში ხელმისაწვდომი და მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია. ამასთან, ადამიანის უფლებათა ცენტრმა მონიტორინგის მთავარი მიგნებების გასამყარებლად ჩაწერა ინტერვიები აქციების ორგანიზატორებთან, რომელთა შორისაც იყვნენ პოლიტიკური პარტიის და უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სამოქალაქო აქტივისტები.

ანალიზის შედეგად წინამდებარე შუალედური ანგარიში ასახავს აქციების მონიტორინგის მთავარ მიგნებებსა და იდენტიფიცირებულ უფლებადარღვევებს. მისი მიზანია, საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია საქართველოში შეკრების თავისუფლების დაცვის ხარისხთან დაკავშირებით და შეაფასოს არსებული პრაქტიკის თავსებადობა როგორც ეროვნულ კანონმდებლობასთან, ისე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან.

შეკრების თავისუფლების ფარგლები და მისი შეზღუდვის საფუძვლები

მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების უფლება ავსებს და კვეთს სხვა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს. შეკრების თავისუფლება, მისი ექსპრესიული ხასიათის გათვალისწინებით, ებმის გამოხატვის თავისუფლებას — მათი შედეგი საზოგადოებრივ აზრზე გავლენის მოხდენაა (როდესაც ეს ორი უფლება ერთდროულად გამოიყენება).[6] შეკრების თავისუფლება ასევე ურთიერთკავშირშია გაერთიანების თავისუფლებასთან, საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობის უფლებასა და საარჩევნო უფლებასთან. სწორედ ეს არის უფლებათა ერთგვარი ჯგუფი, რომელიც საფუძვლად უდევს უფრო ფართო — „პროტესტის უფლებას“.[7] თავის მხრივ, შეკრების თავისუფლების ეფექტიანი რეალიზება ფუნდამენტური მნიშვნელობის მატარებელია დემოკრატიული საზოგადოების ფორმირებისა და სიცოცხლისუნარიანობისათვის, რამდენადაც ეს არის *ინსტრუმენტული უფლება*, რომელიც ამ უფლებით მოსარგებლე პირს (მისი პოლიტიკური, სოციალური, არტისტული, რელიგიური და სხვა) შეხედულებების საჯაროდ გამოხატვის შესაძლებლობას აძლევს[8] და, ამავდროულად, გარკვეულწილად, განსაზღვრავს სხვა უფლებების ეფექტური რეალიზაციის შესაძლებლობას.

კანონით დაცულია მხოლოდ მშვიდობიანი შეკრების უფლება.[9] შეკრება მშვიდობიანად უნდა ჩაითვალოს, თუ მის ორგანიზატორებს აქვთ მშვიდობიანი განზრახვა და შეკრების მიმდინარეობს არაძალადობრივი გზით.[10] ტერმინი „მშვიდობიანი“ მოიცავს ქცევას, რომელმაც შეიძლება გააღიზიანოს ან შეურაცხყოფა მიაყენოს იმ ინდივიდებს ან ჯგუფებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან იმ იდეებს ან პრეტენზიებს, რომელთა პოპულარიზაციასაც შეკრება ისახავს მიზნად.[11] ის ასევე მოიცავს ქცევას, რომელიც დროებით აფერხებს, ხელს უშლის ან შეუძლებელს ხდის მესამე პირების საქმიანობას.[12]

აქციის მშვიდობიანი ხასიათის დასადგენად ორსაფეხურიანი ტესტი გამოიყენება[13] — (1) უნდა დადგინდეს აქციის მონაწილეთა ქმედებები ექცევა თუ არა შეკრების

---

[6] იგივე. შემდეგი მითითებით: Article 19 (2) and (3) of the International Covenant on Civil and Political Rights (ICCPR), 16 December 1966; Article 10, European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms (ECHR), 4 November 1950 (as amended by Protocols 11 and 14).

[7] იგივე. შემდეგი მითითებით: Article 22, Article 25(a), Article 25(b), ICCPR; Article 11, Article 3 ECHR; Eva Molnár v. Hungary, 2008; Barankevich/Russia, 2007.

[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის 2023 წლის 14 დეკემბრის №3/3/1635 გადაწყვეტილება საქმეზე "საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ".

[9] საქართველოს კანონი "შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ", მუხლი 2.

[10] *OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR),* Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, 2010, 15.

[11] *European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), OSCE Office For Democratic Institutions And Human Rights (OSCE/ODIHR),* Guidelines On Freedom Of Peaceful Assembly, 2019, 9.

[12] OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR), Guidelines on Freedom of Peaceful Assembly, 2010, 15.

[13] UN, Human Rights Committee, General Comment No. 37 (2020) on the right of peaceful assembly (article 21), 2020, 11.

თავისუფლებით დაცულ ფარგლებში და (2) ლახავს თუ არა მათი ქმედება კანონით დაცულ რომელიმე სიკეთეს.[14]

მშვიდობიანი შეკრების საწინააღმდეგოა ისეთი შეკრებები, რომლებიც ძალადობას შეიცავენ, ვინაიდან მშვიდობიანი შეკრების უფლება არ შეიძლება განხორციელდეს ძალადობის გამოყენებით. მშვიდობიანი შეკრების დაცვის გარანტიები ვრცელდება ყველა შეკრებაზე, გარდა იმ შეკრებებისა, როდესაც ორგანიზატორებსა და მონაწილეებს აქვთ ძალადობრივი განზრახვები, ახალისებენ ძალადობას ან სხვაგვარად უარყოფენ დემოკრატიული საზოგადოების საფუძვლებს.[15] შესაბამისად, „ძალადობა", როგორც წესი, გულისხმობს მონაწილეთა მიერ ფიზიკური ძალის გამოყენებას სხვების მიმართ ან ასეთისკენ მოწოდებას, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს დაზიანება ან სიკვდილი, ან ქონების განადგურება. ამასთანავე, მარტოოდენ მანქანის ან ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის ან ყოველდღიური საქმიანობის შეფერხება არ წარმოადგენს „ძალადობას".[16] მეტიც, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, გაფიცვა და კონტრდემონსტრაცია, ასევე, დაცულია შეკრების თავისუფლებით.[17]

ზოგ შემთხვევაში, რთულია მკაფიო ხაზის გავლება შეკრებებს შორის, რომლებიც მშვიდობიანია ან/და არ არის. ამიტომ არსებობს პრეზუმფცია შეკრებების მშვიდობიანად მიჩნევის სასარგებლოდ.[18] ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებს აკისრიათ მტკიცების ტვირთი, რომ შეკრების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს ძალადობრივი განზრახვა ამოძრავებდათ.[19] ამასთან, ერთი ადამიანის, ან მონაწილეთა მცირე ჯგუფის მიერ ჩადენილი სპორადული ძალადობა[20] ან სხვა დასჯადი ქმედებები დემონსტრაციას ან შეკრებას არ აქცევს *a priori* ძალადობრივად, თუ მოცემული აქციის დიდი ნაწილის და შეკრების ორგანიზატორების განზრახვა და ქმედებები კანონიერია.[21] სპორადული ძალადობის ცალკეული ინციდენტები, თუნდაც ჩადენილი იყოს დემონსტრაციის დროს და მონაწილეთა მიერ, თავისთავად არასაკმარისია შეკრებებისა და მათი მშვიდობიანი მონაწილეების უფლების შეზღუდვის გასამართლებლად ან დაშლის გასამართლებლად.[22]

---

[14] საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ", მუხლი 2 (3, ა), 14 (1); *ასეთი დაცული სიკეთეებია:* დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ტერიტორიული მთლიანობის დაცვა; სხვათა უფლებების დაცვა; კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან აცილება; სასამართლოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა.

[15] *Kudrevičius and Others v. Lithuania [GC],* 2015, § 92.

[16] UN, Human Rights Committee, General Comment No. 37 (2020) on the right of peaceful assembly (article 21), 2020, 15.

[17] იქვე, 16.

[18] იქვე, 17.

[19] *Christian Democratic People's Party v. Moldova (no. 2)*, 2010, § 23.

[20] სპორადული ძალადობა გულისხმობს ძალადობრივი ქმედებების არარეგულარულ და პერიოდულ გამოვლინებებს.

[21] *European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), OSCE Office For Democratic Institutions And Human Rights (OSCE/ODIHR),* Guidelines On Freedom Of Peaceful Assembly, 2019, 17.

[22] *Ziliberberg v. Moldova,* 2004, paras. 47.

ხელისუფლების ორგანოთა ვალდებულებები შეკრების ფასილიტაციისას

მშვიდობიანი შეკრების უფლება სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას, პატივი სცეს და უზრუნველყოს მისი განხორციელება დისკრიმინაციის გარეშე. აღნიშნული მოთხოვნა, ასევე, გულისხმობს, შეკრებები ჩატარდეს დაუსაბუთებელი ჩარევის გარეშე, რა დროსაც სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს უფლების განხორციელებას და დაიცვას მონაწილეები.

ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, სწორედ შინაგან საქმეთა სამინისტროა უფლებამოსილი ორგანო, უზრუნველყოს აქციის მონაწილეთა უსაფრთხოება,[23] სიტუაციის მშვიდობიანი დარეგულირება,[24] კონტრშეკრების/მანიფესტაციის ან თანადროული შეკრების/მანიფესტაციის დროს სხვადასხვა შეკრების/მანიფესტაციის ერთმანეთისგან გამოყოფის მიზნით უსაფრთხო დისტანციის დაცვა[25] და ა.შ. საერთო ჯამში, სამართალდამცავი ორგანოების ფუნქციაა, აქციის ორგანიზატორებთან კომუნიკაციის გზით, უზრუნველყოს მშვიდობიანი შეკრების/დემონსტრაციის ჩატარების შესაძლებლობა და გაუწიოს ფასილიტაცია, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, შეწყვიტოს ან დაშალოს შეკრება/მანიფესტაცია.

შეკრების დროს პოლიციელთა ქცევა უნდა ეფუძნებოდეს წესრიგის დაცვის პრინციპებს - ცოდნას, ფასილიტაციას, კომუნიკაციას და დიფერენციაციას.[26] როგორც ზემოთ ითქვა, სამართალდამცავ ორგანოებს აქციის შეწყვეტის/დაშლის უფლებამოსილება მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვთ, თუ იგი ძალადობრივია. ამასთან, როდესაც ცალკეული ინდივიდების ქცევა სცდება უფლებით დაცულ ფარგლებს, სამართალდამცავი ორგანოების ქმედება მიმართული უნდა იყოს მშვიდობიან მონაწილეთა შესაძლო სამართალდამრღვევი პირებისგან განსხვავებას/გამოყოფისკენ, რომელთა მიმართაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კანონით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები[27] და საზოგადოებრივი წესრიგის შესაძლო დამრღვევთა გამოცალკევებისა და ტერიტორიიდან გაყვანისკენ, რათა მათი ქმედების გამო არ შეწყდეს/დაიშალოს მშვიდობიანი შეკრება/მანიფესტაცია.[28]

---

[23] იგივე.

[24] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება, მუხლი 4 (2, ა).

[25] იქვე, მუხლი 4 (2, დ).

[26] Osce Office For Democratic Institutions And Human Rights (OSCE/ODIHR), *Human Rights Handbook on Policing Assemblies*, 2016, 24-27. მითითებით: *Reicher, S., Stott, C., Drury, J., Adang, O., Cronin, P., Livingstone, A.*, Knowledge Based Public Order Policing: Principles and Practice, 1/4, 2007, 403-415.

[27] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება, მუხლი 4 (2, ბ).

[28] იქვე, მუხლი 4 (2, გ).

ამდენად, ქართული კანონმდებლობის მოთხოვნები საერთაშორისოდ დადგენილ სტანდარტთან თანხვედრაშია. ამის საპირისპიროდ, პრაქტიკაში მისი იმპლემენტაცია, ფაქტობრივად, არ/ვერ ხდება, რასაც საქართველოში, მათ შორის, ბოლო პერიოდში გამართული საპროტესტო აქციების დროს პოლიციის მხრიდან ძალის გადამეტებისა საპროტესტო აქციების არალეგიტიმური დაშლის შემთხვევები მოწმობს.[29]

საანგარიშო პერიოდში, გარდა „რუსული კანონის" წინააღმდეგ გამართული საპროტესტო აქციებისა, ადამიანის უფლებათა ცენტრი სხვა სპეციფიკის შეკრებებსაც აკვირდებოდა. ცენტრის მონიტორების შეფასებით, ერთგვარ ტენდენციას წარმოადგენს პოლიციის მიერ აგრესიული და ძალადობრივი დამოკიდებულების გამოვლინება ხელისუფლების საწინააღმდეგო ფართომასშტაბიან აქციებზე,[30] მაშინ როცა სხვა შემთხვევაში - მაგალითად, სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით გამართულ შეკრებებზე[31] ან/და შედარებით მცირემასშტაბიანი აქციების[32] დროს, პოლიცია მომართული იყო აქციის ორგანიზატორებთან თანამშრომლობისკენ.

> ***„შენ ეს შეძელი"*** — აქციის დროს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს აქტიური კომუნიკაცია ჰქონდათ აქციის ორგანიზატორებთან. ისინი მუდმივად ცდილობდნენ აქციის ორგანიზატორების საჭიროებების იდენტიფიცირებას და შესაძლებლობის ფარგლებში რეაგირებდნენ მასზე.[33]
>
> ***„მარში სტუდენტური საცხოვრებლისთვის"*** — მარშის მიმდინარეობის მთელი პერიოდისთვის, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოდან საქართველოს განათლების სამინისტროს მიმართულებით მსვლელობის ფორმატში გაიმართა, პოლიცია უზრუნველყოფდა აქციის მონაწილეების უსაფრთხო გადაადგილებას, ასევე, სატრანსპორტო მოძრაობის რეგულირებას შეფერხების გარეშე გადაადგილებისთვის და აქციის ორგანიზატორებთან ჰქონდათ აქტიური კომუნიკაცია.

---

[29] იხ. რადიო „თავისუფლება", „გავრილოვის ღამემდე" და მერე, 2020 წლის 19 ივნისი. ხელმისაწვდომია: https://t.ly/KhrVm [02.07.2024]. იხ. ინტერნეტგამოცემა „civil.ge", პარტნიორები საქართველოში მიმდინარე მოვლენებს ეხმიანებიან, 2023 წლის 09 მარტი. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/530066 [02.07.2024].

[30] ადმიანის უფლებათა ცენტრის აქციების მონიტორინგის ანგარიშები - დემონსტრაციები "რუსული კანონის" წინააღმდეგ.

[31] ადამიანის უფლებათა ცენტრი, შეკრების მონიტორინგის ანგარიში, 2024 წლის 04 თებერვლის მარში გამოსახლების წინააღმდეგ; ადამიანის უფლებათა ცენტრი, შეკრების მონიტორინგის ანგარიში, 2024 წლის 07 აპრილის მარში სტუდენტური საცხოვრებლისთვის.

[32] ადამიანის უფლებათა ცენტრი, შეკრების მონიტორინგის ანგარიში, 2024 წლის 11 იანვრის ირმა ინაშვილის აქცია რუსთაველის ძეგლთან. ადამიანის უფლებათა ცენტრი, შეკრების მონიტორინგის ანგარიში, 2024 წლის 08 მარტის აქცია „შენ ეს შეძელი".

[33] ადამიანის უფლებათა ცენტრი, შეკრების მონიტორინგის ანგარიში, 2024 წლის 08 მარტის აქცია „შენ ეს შეძელი". *ასევე,* ადამიანის უფლებათა ცენტრის ინტერვიუ ახალგაზრდული ორგანიზაცია „ნაბიჯის" ერთ-ერთ ლიდერ ლუკა ჭოხონელიძესთან, 2024 წლის 01 აპრილი.

რაც შეეხება 2024 წლის 15 აპრილის შემდეგ გამართულ საპროტესტო აქციებს - ამ შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომელთა ქმედებები რადიკალურად განსხვავებული იყო.

მსგავსად გასულ წელს „რუსული კანონის“ პირველ ჯერზე რეგისტრაციის თანმდევი საპროტესტო აქციების ძალისმიერი მეთოდებით დაშლისა,[34] 2024 წლის აპრილი-მაისის პერიოდში „რუსული კანონის“ საწინააღმდეგო აქციების დროს აქტიურად გამოიყენებოდა სპეციალური საშუალებები.

აღსანიშნავია, რომ საპატრულო პოლიციის გარდა, „რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართულ აქციებზე მობილიზებულნი იყვნენ არა მხოლოდ საპატრულო პოლიციის, არამედ შსს-ს სხვა დანაყოფების წარმომადგენლებიც — მათ შორის: განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტი, მართლწესრიგის ოფიცრები, კრიმინალური პოლიცია და სხვა, ხოლო ზოგ შემთხვევაში, არაიდენტიფიცირებადი პირები, რომლებიც, როგორც ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების ანგარიშებიდან იკვეთება, შსს-ს ქვედანაყოფებთან აქტიურ კომუნიკაციაში იყვნენ, ამასთან, იღებდნენ აქციის მონაწილეთა ფოტოებს და ვიდეოებს.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვებით, განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდნენ შსს-ს განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომლები. გარდა შეკრების დასაშლელად გამოყენებული არაპროპორციული ძალის და შეკრების მონაწილეთა დევნის ოპერაციებისა, მათი

[34] ადამიანის უფლებათა ცენტრი, ადამიანის უფლებათა ცენტრის მოკლე ანგარიში პოლიციის მხრიდან სპეციალური საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებით, 2023 წლის 31 ოქტომბერი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4bxOwLW [10.07.2024]; ადამიანის უფლებათა ცენტრი, შეკრებების და მანიფესტაციების მონიტორინგის შემაჯამებელი ანგარიში, 2023, 18-21. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4cAixMi [10.07.2024].

დაკავების და ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით,[35] ისინი ფიზიკურად უსწორდებოდნენ დაკავებულებსაც.[36]

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, პრობლემურია შეკრებების ფასილიტაციის პროცესში ყველა სახის საპოლიციო ძალის გამოყენება, რამდენადაც ეს მნიშვნელოვნად ზრდის არაპროპორციული ძალის გამოყენების მნიშვნელოვან რისკს, ასევე, ქმნის ესკალაციის საფრთხეს. ამასთან, პოზიტიურად უნდა შეფასდეს მართლწესრიგის ოფიცრების აქციის ფასილიტაციის პროცესში ჩართვა, მათი კვალიფიკაციის, სამუშაო სპეციფიკისა და შესაბამისი მომზადების გათვალისწინებით.

---

[35] *ადამიანის უფლებათა ცენტრი,* 15-17 აპრილის საპროტესტო აქციების მონიტორინგის მოკლე ანგარიში, 2024 წლის 29 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4cJ5Oqr [26.06.2024]; ინტერნეტგამოცემა aprili.media, დაკავებისას სპეცრაზმმა კიდევ რამდენიმე მოქალაქეზე იძალადა, 2024 წლის 1 მაისი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3RT0rgg [26.06.2024]; „რადიო თავისუფლება“, რამდენიმე პოლიციელი ერთ დემონსტრანტზე ძალადობს, 2024 წლის 01 მაისი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4cEjgMs [26.06.2024]; „რადიო თავისუფლება“, თვითმხილველები: პოლიცია აქციის მონაწილეების წინააღმდეგ რეზინის ტყვიებს იყენებს, 2024 წლის 1 მაისი. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32929503.html [26.06.2024]; იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება საპროტესტო აქციაზე მიმდინარე მოვლენების შესახებ, 2024 წლის 16 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4bwqVuY [26.06.2024]; იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცახდება, 16-17 აპრილის აქციის მონიტორინგის პირველადი შედეგები, 2024 წლის 17 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XOvXje [26.06.2024]; იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება პარლამენტთან მიმდინარე აქციასთან დაკავშირებით, 2024 წლის 29 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/45PlJ46 [26.06.2024]; იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება პარლამენტთან მიმდინარე აქციასთან დაკავშირებით, 2024 წლის 30 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XQArpU [26.06.2024]; იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება, სახალხო დამცველი მშვიდობიანი შეკრების დაშლის მიზნით სპეციალური საშუალებების გამოყენების ფაქტს ეხმიანება, 2024 წლის 1 მაისი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3xQRgWQ [26.06.2024]; იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება 1 მაისის საპროტესტო აქციასთან დაკავშირებით, 2024 წლის 1 მაისი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3Lax0Td [26.06.2024]; იხ. სახალხო დამცველის განცხადება პარლამენტთან განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, 2024 წლის 13 მაისი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zDBrmT [26.06.2024]; იხ. სახალხო დამცველი საგამოძიებო უწყებებს ბოლო დროს განხორციელებული სავარაუდო ძალის გადამეტებისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტზე სამართლებრივი ღონისძიებების გატარებისკენ მოუწოდებს, 2024 წლის 13 მაისი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3LcFZ6g [26.06.2024]; იხ. საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება რუსთაველის გამზირზე მიმდინარე აქციასთან დაკავშირებით, 2024 წლის 14 მაისი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XJ9N22 [26.06.2024]; იხ. სახალხო დამცველის განცხადება მიმდინარე აქციაზე სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფორმებთან დაკავშირებით, 2024 წლის 14 მაისი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4ePWdQr [26.06.2024].

[36] იხ. განცხადება - 12 ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია ვაგრძელებთ აპრილი-მაისის პერიოდში ,,რუსული კანონის“ წინააღმდეგ მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს დაკავებული, დაზარალებული და დაჯარიმებული პირების უფლებების დაცვას, 2024 წლის 18 ივნისი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XT2wg3 [26.06.2024]; იხ. სახალხო დამცველის რწმუნებულები აქციაზე დაკავებულ პირებს ხვდებოდნენ, 2024 წლის 15 მაისი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/45YiyHx [26.06.2024]; იხ. სახალხო დამცველის რწმუნებულების განცხადება დაკავებულ პირებთან დაკავშირებით, 2024 წლის 13 მაისი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XOOYSD [26.06.2024]; იხ. სახალხო დამცველის რწმუნებულები დაკავებულთა ადგილმდებარეობას ადგენენ, 2024 წლის 03 მაისი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3zBIGvA [26.06.2024]; იხ. სახალხო დამცველის წარმომადგენლები აქციაზე დაკავებულ პირებს ხვდებიან, 2024 წლის 01 მაისი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4cOQtF0 [26.06.2024]; იხ. სახალხო დამცველის აპარატი დაკავებულთა ადგილსამყოფელს ადგენს, 2024 წლის 16 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3XKGEDF [26.06.2024]; იხ. სახალხო დამცველის რწმუნებულებმა აქციაზე დაკავებული პირები მოინახულეს, 2024 წლის 16 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3ztghYN [26.06.2024].

სამართალდამცავი ორგანოების მიერ შეკრების დაშლა

სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლების მიერ შეწყვეტას და დაშლას ექვემდებარება შეკრება/მანიფესტაცია, რომლის მონაწილენიც არღვევენ მისი ჩატარებისთვის კანონით დადგენილ წესს და არსებობს დაშლისთვის კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი საფუძველი.[37] ამასთან, სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლებმა უნდა უზრუნველყონ მშვიდობიან მონაწილეთა განსხვავება/გამოყოფა შესაძლო სამართალდამრღვევი პირებისგან და საზოგადოებრივი წესრიგის შესაძლო დამრღვევთა გამოცალკევება და ტერიტორიიდან გაყვანა, რათა მათი ქმედების გამო არ შეწყდეს/დაიშალოს მშვიდობიანი შეკრება/მანიფესტაცია.

როგორც არაერთხელ აღინიშნა, შეკრების თავისუფლების ნებისმიერი შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს *ultima ratio* საშუალებას. მისი გამოყენება უნდა ეფუძნებოდეს ცალკეულ პირთა ქცევისა და შეკრების დიფერენცირებულ და ინდივიდუალურ შეფასებას. ცალკეულ პირთა ქცევის საფუძველზე დაწესებული საერთო შეზღუდვები, როგორც წესი, მიიჩნევა არაპროპორციულად.[38]

მშვიდობიანი შეკრების უფლების დაცვის მთავარი მოთხოვნაა, რომ უფლებაში ჩარევის ნებისმიერი მცდელობა იყოს შინაარსობრივად ნეიტრალური და, შესაბამისად, არ იყოს დაკავშირებული შეკრების დროს გაჟღერებულ გზავნილთან. უფრო კონკრეტულად, უფლების შეზღუდვა არ უნდა იყოს გამოყენებული ხელისუფლების მიმართ ოპოზიციური იდეების ჩახშობის ცალსახა ან ირიბ ინსტრუმენტად.[39]

2024 წლის აპრილისა და მაისის თვეებში, „რუსული კანონის“ წინააღმდეგ გამართული მასობრივი საპროტესტო დაშლა ხდებოდა სპეციალური საშუალებებისა და არაპროპორციული ძალის გამოყენებით, რაც ეწინააღმდეგება როგორც ეროვნულ კანონმდებლობას, ისე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს. კერძოდ, ნაცვლად იმისა, რომ პოლიციას ცალკეული სამართალდარღვევის ინციდენტებზე მოეხდინა რეაგირება, იგი იწყებდა სპეციალური საშუალებების გამოყენებას მასობრივად.

> ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორის ანგარიშის თანახმად, 15-17 აპრილის დემონსტრაციების დროს დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც აქციის მონაწილეები 9 აპრილის ქუჩაზე წყლის ბოთლებს ისროდნენ

[37] „შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება, მუხლი 4 (1).
[38] UN, Human Rights Committee, General Comment No. 37 (2020) on the right of peaceful assembly (article 21), 2020, 42.
[39] იქვე, 44-45.

სამართალდამცავთა კორდონების მიმართულებით. მალევე სამართალდამცავმა ორგანოებმა დაიწყეს წიწაკის სპრეის გამოყენება.[40]

30 აპრილისა და 1 მაისის საპროტესტო აქციების მონიტორინგის ანგარიშის თანახმად,[41] დეპუტატების პარლამენტიდან გამოსვლის დროს და მთავრობის ადმინისტრაციის შენობის ეზოს გავლით სოლოლაკში მათი მანქანებით სავარაუდო გადაადგილების პარალელურად, აქციის ორგანიზატორებმა მონაწილეებს მოუწოდეს მშვიდობიანი მსვლელობისკენ საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან მთავრობის ადმინისტრაციის შენობამდე. იმავდროულად დაიწყო საპოლიციო ძალების მობილიზება ყველა ქუჩაზე, სადაც შეიძლებოდა აქციის მონაწილეებს გაევლოთ. პოლიციამ გადაკეტა მთავრობის ადმინისტრაციისკენ მიმავალი ყველა გზა, მათ შორის, სავაჭრო ცენტრ „თბილისი გალერიიდან“ უკან გამავალი და მეტროსადგურ „თავისუფლების მოედნის“ გვერდით კიბეებით ამავალი გზები, ასევე - სულხან საბა ორბელიანის და პავლე ინგოროყვას ქუჩები. ამ დროს, თავისუფლების მოედანზე მობილიზებული იყო წყლის ჭავლის მანქანები, სპეციალური დანიშნულების რაზმის გადასაადგილებლად განკუთვნილი რამდენიმე მიკროავტობუსი და სხვა ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალება. ვითარება აქციის მონაწილეებსა და სამართალდამცავ ორგანოებს შორის საქართველოს პარლამენტის შენობიდან დეპუტატების გაყვანის დროს დაიძაბა, ხოლო შემდეგ, დაახლოებით 23:10 საათისთვის კიდევ უფრო გამძაფრდა. აქციის მონიტორინგის ანგარიშის თანახმად,[42] აქციის მონაწილეები, ძირითადად, ხელებაწეული იდგნენ პოლიციის წინ. იყო შემთხვევები, როდესაც ისინი პოლიციის მისამართით ისროდნენ წყლით სავსე ბოთლებს, რაც თავის მხრივ, უმეტესწილად, იყო რეაქცია პოლიციის ძალადობრივ ქმედებებზე. ამას შედეგად მოყვა აქციის მონაწილეების წინააღმდეგ წიწაკის სპრეის, მხუთავი აირისა და წყლის ჭავლის გამოყენება.

ასევე, მედიით გავრცელებული კადრებიდან ჩანს, რომ 2024 წლის 14 მაისს, პარლამენტთან მიმდინარე საპროტესტო აქციის დროს, როდესაც დემონსტრანტთა გარკვეულმა ჯგუფმა დააზიანა პარლამენტის წინ არსებული რკინის კონსტრუქცია, სამართალდამცავი ორგანოების რაზმებმა დაიწყეს სპეციალური საშუალებების გამოყენება მთლიანად აქციის მიმართ.[43]

---

[40] ადმიანის უფლებათა ცენტრის აქციების მონიტორინგის ანგარიშები - დემონსტრაციები "რუსული კანონის" წინააღმდეგ, 2024 წლის 15-17 აპრილი.

[41] ადმიანის უფლებათა ცენტრის აქციების მონიტორინგის ანგარიშები - დემონსტრაციები "რუსული კანონის" წინააღმდეგ, 2024 წლის 30 აპრილი - 01 მაისი.

[42] იგივე.

[43] ინტერნეტგამოცემა „ტაბულა“, რა ხდება? პროტესტის დინამიკა 14 მაისის 16:00 საათისთვის, 2024 წლის 14 მაისი. ხელმისაწვდომია: http://tbl.ge/6sax [14.07.2024].

გაფრთხილება სპეციალური საშუალებების გამოყენებამდე

2024 წლის 30 აპრილსა[44] და 14 მაისს[45] „რუსული კანონის“ საწინააღმდეგო დემონსტრაციებზე სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლებმა წინასწარი გაფრთხილების გარეშე გამოიყენეს აქტიური სპეციალური საშუალებები ახლო მანძილიდან.

„შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთა ქცევის სახელმძღვანელო ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება განსაზღვრავს სამართალდამცავი ორგანოების ვალდებულებას, სპეციალური ღონისძიების დაწყებამდე ფიზიკური ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს შეკრების/მანიფესტაციის მონაწილეები, მისცეს მათ გონივრული ვადა (არანაკლებ 30 წუთი) კანონიერი მოთხოვნის შესასრულებლად. ამასთან, აღნიშნული ბრძანება განსაზღვრავს გამონაკლის შემთხვევებს, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს პირის ან/და სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის სიცოცხლის ან/და ჯანმრთელობის ხელყოფა ან სხვა მძიმე შედეგი, ან შექმნილ სიტუაციაში ასეთი გაფრთხილება გაუმართლებელია/შეუძლებელია.

არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, 2024 წლის 30 აპრილს, ხმოვანი გაფრთხილების გაჟღერების პარალელურად[46] სპეციალური დანიშნულების რაზმმა დაიწყო **წყლის ჭავლის** გამოყენება, ისე, რომ აქციის მონაწილეებს არ მიეცათ გონივრული ვადა გაფრთხილებაზე რეაგირებისთვის.

2024 წლის 14 მაისს, პარლამენტის წინ „რუსული კანონის“ მესამე მოსმენით მიღების პარალელურად იმართებოდა საპროტესტო აქცია. მოქალაქეები პროტესტს საკანონმდებლო ორგანოსთან აღმართულ რკინის ჯებირებზე ჯოხებისა და მუშტების რტყმით გამოხატავდნენ. ხოლო, როგორც საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია მოწმობს, პარლამენტის ეზოში მობილიზებული პოლიციელები აქციის მონაწილეებს, ვინც რკინის ჯებირებზე ნივთების დარტყმით გამოხატავდნენ პროტესტს, ფოტოებს უღებდნენ.[47]

---

[44] ინტერნეტგამოცემა civil.ge, არასამთავრობოები: აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოყენებული ფიზიკური ძალა წამებას გაუტოლდა, 2024 წლის 01 მაისი. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/603209 [05.07.2024].

[45] რადიო „თავისუფლება“, პარლამენტთან პროტესტის მონაწილეებს აკავებენ, 2024 წლის 14 მაისი. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32947051.html [05.07.2024].

[46] ტვ „პირველი“, შსს-მ მშვიდობიანი აქციის მონაწილეების წინააღმდეგ წყლის ჭავლი გამოიყენა, 2024 წლის 30 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://t.ly/p9AuJ [05.07.2024].

[47] ინტერნეტგამოცემა "რადიო თავისუფლება", პარლამენტთან პროტესტის მონაწილეებს აკავებენ, 2024 წლის 14 მაისი. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/32947051.html [05.07.2024].

ამასთან, გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სპეცრაზმელები პარლამენტის ეზოდან მას შემდეგ გამოცვივდნენ, რაც დემონსტრანტების ნაწილმა შენობის წინ აღმართული ლითონის წინაღობის ფირფიტა ამოჭრა.[48]

საერთაშორისო პრაქტიკის თანახმად,[49] როდესაც მიიღება ძალადობრივი შეკრების ძალის გამოყენებით დაშლის შესახებ გადაწყვეტილება, უნდა იქნეს გამოყენებული გაფრთხილების მექანიზმი. გაფრთხილება უნდა განხორციელდეს შესაბამისი გამაძლიერებელი მოწყობილობის გამოყენებით, შეკრების მონაწილეთათვის გასაგებ ენაზე და არაერთხელ. გაფრთხილება უნდა იყოს მკაფიო და გასაგონი და არ უნდა გადაიფაროს სხვა ხმებით, როგორებიცაა, მაგალითად, სიგნალიზაცია, ძრავის გადაჭარბებული ხმაური და სხვ.. საჭიროების შემთხვევაში, გაფრთხილება უნდა განხორციელდეს ერთზე მეტი ადგილიდან, რათა ყველა მონაწილემ შეძლოს მისი მოსმენა. მეტიც, როდესაც შეკრება მრავალენოვანია, პოლიციამ უნდა განიხილოს გაფრთხილების გაცემა რამდენიმე ენაზე და, როცა ეს შესაძლებელია, შესაძლოა, განიხილოს ხელით დაწერილი ნიშნების ან ელექტრონული დაფების გამოყენებაც.

პოლიციამ შეკრების მონაწილეებს უნდა მისცეს გაფრთხილებაზე რეაგირებისთვის საჭირო დრო.

გამონაკლის შემთხვევაში პოლიციას აქვს შეკრების გაფრთხილების გარეშე დაშლის შესაძლებლობა — როდესაც მყისიერი საფრთხე ექმნება ინდივიდების სიცოცხლეს.

შეკრების დაშლის დროს სპეციალური საშუალებების გამოყენება

ძალის გამოყენების აუცილებლობის შესახებ გადაწყვეტილება უნდა მოიცავდეს მიზანმიმართულ და წერტილოვან ჩარევებს ძალადობრივ აქტებში ჩართული პირების მიმართ და იყოს მინიმალური ძალადობის შესაჩერებლად და საზოგადოებრივი წესრიგის აღსადგენად. აღნიშნული მოთხოვნა გულისხმობს, რომ როდესაც ცალკეული მონაწილეების ქცევა არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს და თუკი აქციის მონაწილეები ძალადობრივად იქცევიან, ზომები უნდა იქნას მიღებული ამ კონკრეტული პირების წინააღმდეგ, ხოლო შეკრების დანარჩენ წევრებს უნდა მიეცეთ საშუალება, გააგრძელონ უფლებით სარგებლობა. დაშლის შესახებ გადაწყვეტილება უნდა ეფუძნებოდეს უმრავლესობის ქცევას და არა ზოგიერთი პიროვნების ქმედებებს.

შეკრების დაშლის დროს დასაშვებია მხოლოდ აუცილებელი და პროპორციული ძალის გამოყენება, როდესაც ეს საჭიროა ლეგიტიმური მიზნების მისაღწევად. მას შემდეგ, რაც ძალის ნებისმიერი გამოყენების აუცილებლობა გადაივლის, [მაგალითად, როდესაც მოძალადე ინდივიდი დაკავებულია] ძალის შემდგომი გამოყენება

[48] იგივე.
[49] *OSCE Office For Democratic Institutions And Human Rights (OSCE/ODIHR),* Human Rights Handbook on Policing Assemblies, 2016, 105-106.

დაუშვებელია. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს არ შეუძლიათ გამოიყენონ უფრო მეტი ძალა, ვიდრე საჭიროა ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად.[50]

ნაკლებად ლეტალური იარაღების, როგორიცაა - რეზინის ტყვიები, ანდა სპეციალური საშუალებების - ცრემლსადენი გაზისა და წყლის ჭავლის გამოყენებამდე ყველა გონივრული ძალისხმევა უნდა იქნას გამოყენებული რისკების შესამცირებლად, როგორიცაა პანიკის გამოწვევა ან თვითმხილველების დაზიანება. ასეთი საშუალებები უნდა იქნას გამოყენებული მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა, სიტყვიერი გაფრთხილების შემდეგ და შეკრების მონაწილეებისთვის ადგილის დატოვების ადეკვატური შესაძლებლობით. ამასთან, ასეთი საშულებები არ უნდა იქნას გამოყენებული ჩაკეტილ სივრცეში და ახლო მანძილიდან.[51]

„რუსული კანონის“ წინააღმდეგ მიმართულ საპროტესტო აქციებზე სპეციალური საშუალებების საჭიროების გარეშე, დამიზნებით გამოყენების არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა.[52]

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორების დაკვირვებით, სამართალდამცველმა ორგანოებმა არაერთგზის დაარღვიეს შეკრებებისა და მანიფესტაციების დროს სპეციალური საშუალებების გამოყენების წესი. კერძოდ, 30 აპრილის და 1 მაისის აქციებთან დაკავშირებით არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადების თანახმად,[53] სპეციალური დანიშნულების რაზმი აგრძელებდა წყლის ჭავლის გამოყენებას გაფრთხილების პარალელურად ან გაფრთხილებიდან რამდენიმე წამის ინტერვალით.[54] გაფრთხილება არ უძღოდა წინ **ცრემლსადენი გაზის** კაფსულების გამოყენებას (23:21). რაც შეეხება რეზინის ტყვიების გამოყენებას, სპეციალური დანიშნულების რაზმის წარმომადგენელი ჟურნალისტთან საუბრისას (ტვ პირველი, 01:41) საერთოდ უარყოფდა **რეზინის ტყვიების** გამოყენების ფაქტს,[55] მიუხედავად მედიის მიერ მოპოვებული მტკიცებულებებისა, რომელიც ამ სპეციალური საშუალების გამოყენებას ადასტურებს.

---

[50] UN, Human Rights Committee, General Comment No. 37 (2020) on the right of peaceful assembly (article 21), 2020, 79.

[51] იქვე, 87.

[52] ტელეკომპანია „ფორმულა“, სპეცრაზმმა წიწაკის სპრეი სასულიერო პირის წინააღმდეგ გამოიყენა, 2024 წლის 14 მაისი. ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/yc2ka8e3 [05.07.2024]; იხ. ინტერნეტგამოცემა commersant, საქართველოს სახალხო დამცველის განცხადება - „არ არსებობდა წიწაკის სპრეის გამოყენების საფუძვლები“ - სახალხო დამცველის პირველადი შეფასება 30 აპრილის აქციაზე, 2024 წლის 01 მაისი. ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/3ytammcs [05.07.2024].

[53] ინტერნეტგამოცემა civil.ge, არასამთავრობოები: აქციის მონაწილეთა წინააღმდეგ გამოყენებული ფიზიკური ძალა წამებას გაუტოლდა, 2024 წლის 01 მაისი. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/603209 [05.07.2024].

[54] ტელეკომპანია „ფორმულა“, სპეცრაზმი რუსთაველის გამზირს მოქალაქეებისგან წყლის ჭავლის გამოყენებით ათავისუფლებს, 2024 წლის 30 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://t.ly/0Lbky [05.07.2024].

[55] ტვ „პირველი“, რუსთაველის გამზირზე აქციის მონაწილეების მისამართით რეზინის ტყვიებს ისვრიან, 2024 წლის 30 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://t.ly/3kSeQ [05.07.2024]; ინტერნეტგამოცემა „პუბლიკა“, „გირჩი-მეტი თავისუფლების“ წევრის, ცოტნე კობერიძის თქმით, რეზინის ტყვია მოხვდა, 2024 წლის 01 მაისი. ხელმისაწვდომია: https://tinyurl.com/u88v34my [05.07.2024].

ძალის გამოყენება აქციის მონაწილეთა დაკავების მომენტში და შემდეგ

„რუსული კანონის“ საწინააღმდეგო საპროტესტო აქციების დროს მონიტორინგის შედეგად და მედიაში გავრცელებულ კადრებში ნათლად გამოჩნდა აქციის მონაწილეთა მიმართ ძალის გამოყენების გადამეტების, ასევე, დაკავების შემდგომ პერიოდში მათზე განხორციელებული ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები.[56] ძალის გამოყენების შემთხვევები დაფიქსირდა ჟურნალისტების მიმართაც.[57]

აქციის მართვის ვალდებულება მოითხოვს სახელმწიფოსგან, რომ გამოიყენოს მხოლოდ ლეგიტიმური ძალა, რომელიც საჭიროა ლეგიტიმული მიზნების მისაღწევად - მაგალითად, საზოგადოებრივი წესრიგის ანდა სხვათა უფლებების დასაცავად.[58] ამასთან, პირველადი რეაგირება უნდა იყოს მიმართული არა შეკრების სრულად ძალადობრივად გამოცხადების, არამედ - ცალკეული ინციდენტების აღმოფხვრაზე.

იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც აქციის ცალკეული მონაწილეები მოქმედებენ კანონის საწინააღდეგოდ, ისინი ინარჩუნებენ სხვა უფლებებს,[59] რომელთა უსაფუძვლო შეზღუდვაც დაუშვებელია.

ჟურნალისტების, უფლებადამცველების, შეკრებების მონიტორინგსა და გაშუქებაში მონაწილე სხვათა როლს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანი შეკრების უფლებით სრულად სარგებლობისთვის. დაუშვებელია მათი საქმიანობის აკრძალვა, ხელის შეშლა ან ზედმეტი შეზღუდვების დაწესება ამ ფუნქციების შესრულებისას, მათ შორის, სამართალდამცავი ორგანოების მოქმედებების მონიტორინგის მიმართ.[60] დაუშვებელია ჟურნალისტის დაკავება მაშინაც კი, თუ აქციის დაშლის ბრძანების გაცემის შემდეგ ისინი არ დატოვებენ ტერიტორიას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი ადგილზე ყოფნა პოლიციის მუშაობას ხელს უშლის.[61] მაშინაც კი, თუ შეკრება არაკანონიერია, დასახელებულ პირებს არ უნდა შეეზღუდოთ მონიტორინგის სრულყოფილად განხორციელების შესაძლებლობა.[62]

---

[56] *ადამიანის უფლებათა ცენტრი,* 15-17 აპრილის საპროტესტო აქციების მონიტორინგის მოკლე ანგარიში, 2024 წლის 29 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4cJ5Oqr [26.06.2024]; მოქალაქეების მიერ გავრცელებული ვიდეოკადრები აქციის მონაწილეთა მიმართ ძალის გამოყენების შესახებ – Facebook.com/Irakli Geleishvili - https://tinyurl.com/3yx5z5m4 [06.07.2024], Facebook.com/ Natia Gamkhitashvili - https://tinyurl.com/bdhtpjrj [06.07.2024], Facebook/Formula - https://bitly.cx/TGAS [06.07.2024]; ტელეკომპანია „მთავარი არხი“, დავით ქაცარავას დაკავების შემდეგ ძალადობის კვალი აღენიშნება, 2024 წლის 20 მაისი. ხელმისაწვდომია: https://bitly.cx/Qr0X [06.07.2024].

[57] *ადამიანის უფლებათა ცენტრი,* 15-17 აპრილის საპროტესტო აქციების მონიტორინგის მოკლე ანგარიში, 2024 წლის 29 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4cJ5Oqr [26.06.2024];

[58] *European Commission For Democracy Through Law (Venice Commission), OSCE Office For Democratic Institutions And Human Rights (OSCE/ODIHR),* Guidelines On Freedom Of Peaceful Assembly, 2019.

[59] UN, Human Rights Committee, General Comment No. 37 (2020) on the right of peaceful assembly (article 21), 2020, 9.

[60] იქვე, 30.

[61] ადამიანის უფლებათა ცენტრი, მე ვარ ჟურნალისტი — ჟურნალისტის უფლებების გზამკვლევი, 2024, 5.

[62] UN, Human Rights Committee, General Comment No. 37 (2020) on the right of peaceful assembly (article 21), 2020, 31.

„რუსული კანონის“ საპროტესტო აქციების დროს დაფიქსირდა ჟურნალისტების და უფლებადამცველების მიმართ განხორციელებული ძალადობის, მათი დაკავებისა თუ საქმიანობაში ხელშეშლის არაერთი შემთხვევა.[63] მათ შორის, საპროტესტო აქციის გაშუქების დროს დააკავეს „ტაბულას“ უმცროსი რედაქტორი, რომელიც რამდენიმე საათში ხელწერილის საფუძველზე გაათავისუფლეს.[64]

„რუსული კანონის“ საწინააღმდეგო აქციების შემდგომ განვითარებული მოვლენები

საპროტესტო აქციების შემდგომ პერიოდში სამოქალაქო აქტივისტების, აქციის მონაწილე მოქალაქეების, პოლიტიკური პარტიის წარმოამდგენლებისა და უფლებადამცველების მიმართ დევნის, ფიზიკური ძალადობისა და დაშინების კამპანია დაიწყო.[65] ასევე, დაიწყო აქციის მონაწილეთა მიმართ სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმეები.[66]

ხელისუფლების პარტიული რესურსის ადამიანების დასაშინებლად გამოყენებას და როგორც არალეგიტიმური ადმინისტრაციულ თუ სისხლისსამართლებრივ დევნას გარდაუვლად ექნება *მსუსხავ ეფექტი* შეკრების და გამოხატვის თავისუფლებაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, შეკრების თავისუფლების დარღვევას წარმოადგენს, მათ შორის, სახელმწიფო ორგანოების ნებისმიერი ისეთი ქმედება, რომელსაც შესაძლოა ჰქონდეს „მსუსხავი ეფექტი“ ამ უფლების რეალიზაციაზე.

მონაწილეთა დაპატიმრებამ, დაკავებამ და/ან შემდგომმა ადმინისტრაციულმა სახდელმა შეიძლება შემდგომში დააბრკოლოს მსგავს შეკრებებში მონაწილეობა.[67] *მსუსხავი ეფექტი* არსებობას განაგრძობს მაშინაც, როდესაც აღსრულების ღონისძიება შეცვლილია, მაგალითად - თუ ჯარიმები მოგვიანებით გააუქმეს სასამართლოებმა ან

---

[63] ინტერნეტგამოცემა civil.ge, სპეცრაზმი ონლაინ მედიის ჟურნალისტებს ფიზიკურად გაუსწორდა, 2024 წლის 17 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://civil.ge/ka/archives/599437 [10.07.2024].

[64] ინტერნეტგამოცემა „მედიაჩეკერი“, სასამართლომ „ტაბულას“ რედაქტორს სიტყვიერი შენიშვნა გამოუცხადა, 2024 წლის 27 მაისი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3WhrLrm [10.07.2024].

[65] ტელეკომპანია „მთავარი არხი“, ხელისუფლების მუქარის კამპანია | ზარები უცხოური ნომრებიდან და ღია ფსიქოლოგიური ტერორი პოლიტიკოსების და აქტივისტების მისამართით, 2024 წლის 7 მაისი. ხელმისაწვდომია: https://bitly.cx/YS5 [07.07.2024]; ინტერნეტგამოცემა „საქართველოს ამბები“, რუსული კანონის მოწინააღმდეგეებს უცხო ნომრებიდან ურეკავენ, აგინებენ და ემუქრებიან, 2024 წლის 7 მაისი. ხელმისაწვდომია: https://bitly.cx/9uH2 [07.07.2024]; რადიო „თავისუფლება“, ზარი 11 წლის ლილესთან, 16 წლის კესოსთან, 13 წლის გოგოსთან, 10 წლის ბიჭთან - რატომ რეკავენ ბავშვებთან?, 2024 წლის 10 მაისი. ხელმისაწვდომია: https://www.radiotavisupleba.ge/a/რატომ-რეკავენ-ბავშვებთან/32941355.html [07.07.2024]. იხ., ასევე: იხ. ადამიანის უფლებათა ცენტრისა და OMCT-FIDH / უფლებადამცველთა დაცვის ობსერვატორიის საერთო განცხადება: *Georgia: Serious deterioration of the situation of human rights defenders*, 26 ივნისი 2024, ხელმისაწვდომია: https://www.omct.org/en/resources/statements/georgia-serious-deterioration-of-the-situation-of-human-rights-defenders [10.07.2024].

[66] რადიო „თავისუფლება“, „ჩვეულებრივი სახელმწიფო ტერორია“ - შსს აქციის მონაწილეებს იბარებს, 2024 წლის 17 მაისი. ხელმისაწვდომია: https://shorturl.at/bQr5s [07.07.2024].

[67] *Balçık and Others v. Turkey*, no. 25/02, §41, 29 November 2007.

დაკავებული პირები გაათავისუფლეს.[68] მსუსხავი ეფექტი ხშირად გვხვდება პოლიტიკურ შეკრებებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, რადგან მათი ჩახშობა, ზოგადად, ხელს უშლის ორგანიზატორებს და მონაწილეებს საპროტესტო აქციების დაგეგმვასა და მონაწილეობაში ანდა ოპოზიციურ პოლიტიკაში აქტიურ ჩართვაში. ამგვარი ზომების სისტემატური გამოყენება გარდაუვლად შექმნის ბარიერს, რათა მოქალაქეებმა თავი შეიკავონ ხელისუფლების ქმედებების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო შეკრებებში მონაწილეობისგან და ზოგადად, ოპოზიციურად განწყობილი შეხედულებების ღიად დაფიქსირებისგან.[69]

ამასთან, პოლიციის მიერ ძალის გამოყენებით შეკრების იმ მონაწილეების დაკავებას, რომლებიც არ იყვნენ ჩართულნი ძალადობრივ აქტებში, შეიძლება ჰქონდეს მსუსხავი ეფექტი როგორც ამ პირების, ისე სხვებისთვის და ხელი შეუშალოს მათ მონაწილეობას მსგავს საჯარო შეკრებებში.[70]

აპრილი-მაისის საპროტესტო აქციებთან დაკავშირებული სხვა ტენდენციები და დარღვევები

2024 წლის აპრილი-მაისის თვეებში პერმანენტულად მიმდინარეობდა რუსული კანონის საწინააღმდეგო აქციები. შეკრებების და მანიფესტაციების მონიტორინგის ფარგლებში ადამიანის უფლებათა ცენტრმა გამოკვეთა არაერთი დარღვევა, რომლებიც ტენდენციის სახით გასდევდა საპროტესტო აქციებს.

რუსული კანონის საწინააღმდეგო აქციების მონიტორინგის ყველა ანგარიში შენიშნავს საპოლიციო ძალების არაპროპორციული რაოდენობით მობილიზების შემთხვევებს, რაც ტოვებს განცდას, რომ ამგვარ მობილიზებას მხოლოდ ერთი — დამაშინებელი ეფექტი უნდა ჰქონოდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიშების მიხედვით, პოლიციის გადაჭარბებულად დიდი ოდენობის მობილიზებას ზოგ შემთხვევაში არ ჰქონდა აქციის ფასილიტაციის ან საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზანი. მაგალითისთვის, 17 აპრილის, ასევე, 30 აპრილის საპროტესტო აქციების დროს სამართალდამცავი ორგანოების სრული მობილიზება იყო არა აქციის მიმდებარედ, არამედ მთავრობის ადმინისტრაციის ტერიტორიაზე.

საპროტესტო აქციების მონიტორინგის ანგარიშები გამოკვეთს სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა იდენტიფიცირების პრობლემას, რაც ზოგ შემთხვევაში, მათ მიერ გადამეტებული ძალის გამოყენების ან აქციის მონაწილეთა მიმართ მუქარის განხორციელების საფუძველი ხდებოდა. განსაკუთრებით

[68] The United Macedonian Organization Ilinden and Ivanov v. Bulgaria, 2005, § 135.
[69] Nemtsov v. Russia, 2014, §§ 77-78.
[70] Zakharov and Varzhabetyan v. Russia, 2020, § 90; Navalnyy and Gunko v. Russia, 2020, § 88.

პრობლემური იყო სპეციალური ოპერაციების ძალების, ასევე, შსს-ს მაღალჩინოსნის, ზვიად ხარებაშვილის კონტროლქვეშ არსებული „ხარებას რაზმის“ მოქალაქეების მიმართ დამოკიდებულება, რაც, ზოგ შემთხვევაში, ანგარიშსწორების სახეს იღებდა.

ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ჯგუფმაც დააფიქსირა და მედიასაშუალებებითაც გავრცელდა არაერთი ვიდეო, სადაც ასახულია აქციის მონაწილეების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების[71] ან მათდამი გინებისა თუ მუქარის შემთხვევები.[72]

აღსანიშნავია, რომ დაფიქსირდა დაკავებული დემონსტრანტების მიმართ ფიზიკური ანგარიშსწორების არაერთი შემთხვევა,[73] რასაც სახალხო დამცველიც გამოეხმაურა.

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლების მიერ აქციის მონაწილეებისთვის ფოტოების გადაღება. ადამიანის უფლებათა ცენტრის მონიტორინგის ანგარიშის თანახმად, ასევე, საჯაროდ გავრცელებული ინფორმაცია მოწმობს, რომ სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, ძირითადად, კრიმინალური პოლიციის თანამშრომლები ან არაიდენტიფიცირებადი პირები, აქციის აქტიურ მონაწილეებს უღებდნენ ფოტოებს,[74] ხოლო მოქალაქეების მიერ საკითხით დაინტერესების შემთხვევაში დაფიქსირდა მათ მიმართ ძალადობის შემთხვევა.[75] პრობლემას წარმოადგენს, ასევე, საპროტესტო აქციის მონაწილეების პირადი ნივთების დაკარგვის ან/და ჩამორთმევის და უკან აღარ დაბრუნების შემთხვევები.

---

[71] რადიო „თავისუფლება“, რამდენიმე პოლიციელი ერთ დემონსტრანტზე ძალადობს, 2024 წლის 30 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/reel/643729087938574 [22.07.2024].

[72] ტელეკომპანია „პირველი“, სპეცრაზმელი აქციის მონაწილეს აგინებს და ემუქრება, 2024 წლის 01 მაისი. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=458302933544634 [22.07.2024]. ტელეკომპანია „ფორმულა“, რობოკოპების მუქარა აქციის მონაწილეებს, 2024 წლის 14 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://www.facebook.com/watch/?v=382181588155218 [22.07.2024].

[73] რადიო „თავისუფლება“, „მუშტებისგან ლამის თავი გამისკდა“: ვინ არიან აქციაზე წუხელ დაკავებულები - სია, 2024 წლის 17აპრილი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3JvVmWU [22.07.2024]. ინტერნეტგამოცემა „aprili.medea“, დაკავებულები არიან სასტიკად ნაცემები, მათ უმრავლესობას ვერ ვპოულობთ — GDI-ის იურისტი, 2024 წლის 13 მაისი. ხელმისაწვდომია: https://aprili.media/დაკავებულები-არიან-სასტი/ [22.07.2024]. ინტერნეტგამოცემა „რადიო თავისუფლება“, „ჰუდის“ თოკი წამიჭირა ყელში, ვიგუდებოდი“, - აპრილის აქციებზე დაკავებულები იზოლატორებს ტოვებენ, 2024 წლის 18 აპრილი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3WcTh85 [22.07.2024]. ტელეკომპანია „მთავარი არხი“, 160-მდე შეტყობინებაა შემოსული, აქციაზე დაკავებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ნაცემია | ადვოკატი, 2024 წლის 13 მაისი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/3A4q73m [22.07.2024].

[74] ინტერნეტგამოცემა „ამერიკის ხმა“, ბილანიშვილი: „ოცნება“ პრორუსულს კია არა, რუსეთის პოლიტიკას ახორციელებს“, 2024 წლის 21 მაისი. ხელმისაწვდომია: https://www.amerikiskhma.com/a/7619853.html [22.07.2024].

[75] ინტერნტერგამოცემა on.ge, პარლამენტთან აქციის მონაწილე დაკავეს — პოლიციამ ის კორდონის სიღრმეში შეიყვანა, 2024 წლის 14 მაისი. ხელმისაწვდომია: https://bit.ly/4bSETaP [22.07.2024].

დასკვნა

წინამდებარე ანგარიშში გამოკვეთილი დარღვევები შეფასდა ადამიანის უფლებათა ცენტრის მიერ შეკრებებისა და მანიფესტაციების მონიტორინგის ფარგლებში, რაც, ძირითადად, უკავშირდება „რუსული კანონის“ საწინააღმდეგო საპროტესტო აქციების დროს იდენტიფიცირებულ ტენდენციებს. ამათგან განსაკუთრებით საგანგაშოა შეკრებების დროს შსს-ს კონკრეტული დანაყოფების წარმომადგენელთა ქცევა, შეკრების ფასილიტაციის დროს გამოვლენილი ფართომასშტაბიანი დარღვევები, ძალის გადამეტების შემთხვევები და აქციის მონაწილეთა მიმართ არაიდენტიფიცირებადი პირების მიერ განხორციელებული ფიზიკური ანგარიშსწორების ფაქტები, ისევე, როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამოქალაქო აქტივისტების სტიგმატიზაციის კამპანია და დაშინებისკენ მიმართული საჯარო განცხადებები.

ადამიანის უფლებათა ცეტრის შეფასებით, ქართული კანონმდებლობა, დიდწილად, თანხვედრაშია საერთაშორისო მიდგომასთან, მაგრამ პრობლემურია აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპების პრაქტიკული იმპლემენტაცია.

ადამიანის უფლებათა ცენტრის შეფასებით, აპრილი-მაისის თვეებში გამართული საპროტესტო აქციების დროს გამოიკვეთა შეკრების თავისუფლების ისეთი უხეში დარღვევები, როგორიცაა: მშვიდობიანი შეკრების დაშლა კანონით განსაზღვრული საფუძლისა და ლეგიტიმური მიზნის გარეშე, ასევე, არაპროპორციული ძალისა და სპეციალური საშუალებების გამოყენება ეროვნული კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების დარღვევით. პრობლემურად უნდა შეფასდეს შეკრების ფასილიტაციის მიზნით შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა სახის საპოლიციო ძალის გამოყენება, განსაკუთრებით კი - სხვა სამუშაო სპეციფიკის და შესაბამისი გადამზადების არმქონე ქვედანაყოფების აქტიურობა.

ადამიანის უფლებების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს ეწინააღმდეგება მშვიდობიანი შეკრების მონაწილეთა მიმართ დევნის ოპერაციების განხორციელება მათი დაკავებისა და შემდგომი ანგარიშსწორების მიზნით, ასევე, დაკავების პროცესში, დაკავებულთა ტრანსპორტირებისას და დროებითი დაკავების იზოლატორებში აქციის მონაწილეთა მიმართ ძალის გადამეტება და არასათანადო მოპყრობის, რიგ შემთხვევაში კი - წამებასთან გათანაბრებული მოპყრობა. ამასთან, დაგვიანებული და, ხშირად, არაეფექტურია სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლების მიერ ჩადენილი დანაშაულის გამოძიება და პრობლემურია ამ დანაშაულთა კვალიფიკაციის საკითხი.

რეკომენდაციები

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს:

- არ დაუშვას სპეციალური საშუალებების გამოყენება შეკრება/მანიფესტაციის მშვიდობიანი მონაწილეების მიმართ;
- ფართომასშტაბიანი საპროტესტო აქციების დროს რეაგირება მოახდინოს ცალკეულ პრობლემურ შემთხვევებზე და არ დაუშვას აქციის სრულად ძალადობრივად ანდა არაკანონიერად გამოცხადება მისი შემდგომი შეწყვეტის ან დაშლის მიზნით;
- ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა სრული დაცვით გააფრთხილოს აქციის მონაწილეები სპეციალური საშუალებების გამოყენებამდე;
- აქციის ფასილიტაციის პროცესში ჩართოს მხოლოდ შესაბამისი კომპეტენციის მქონე დანაყოფები და გამოიყენოს მხოლოდ შსს-ს გადამზადებული კადრები, აქციების ფასილიტაციის მიზნით;
- არ დაუშვას აქციის მონაწილეთა მიმართ „დევნის ოპერაციები", მათი ფიზიკური ანგარიშსწორებისა და დათრგუნვის მიზნით, რაც იქონიებს მსუსხავ ეფექტს შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლებაზე;
- უზრუნველყოს საპოლიციო ძალების სრული შემადგენლობის იდენტიფიცირებადობა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურს:

- დროულად, ეფექტურად და ობიექტურად გამოიძიოს მონაწილეთა მიმართ ძალის გადამეტების სავარაუდო შემთხვევები;
- სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის გამოიძიება დაიწყოს სწორი კვალიფიკაციით;

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური:

- გააძლიეროს მუშაობა მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე;
- შეისწავლოს მოქალაქეთა განცხადებები ეფექტიანად, მოქალაქეთა პერსონალური მონაცემების დამუშავების აშკარა ფაქტებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება აქციის მონაწილეთა პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევებს.